## საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების

## ტრენინგკურსი

| | |
|---|---|
| **კურსის სახელწოდება:** | **პირველი გადაუდებელი დახმარება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში.**<br><br>**First emergency care in preschool child care centers.** |
| **კურსის მოცულობა:** | სრული კურსი 6 მოდული - 42 სთ;<br><br>I  მოდული - 6 სთ. ,<br>II მოდული - 6 სთ.;<br>III მოდული - 12 სთ;<br>IV მოდული - 6 სთ.;<br>V მოდული - 6 სთ.;<br>VI მოდული - 6 სთ.; |
| **კურსის ხელმძღვანელი** | ალექსი მინდაძე, მედ. მეცნ. დოქტორი, ბავშვთა ნევროლოგი |
| **კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები** (გთხოვთ, თან დაურთოთ CV) | პროფ. რუსუდან ქარსელაძე, პედიატრი<br>პროფ. ლია ჟორჟოლაძე, პედიატრი<br>ექიმი მეგი გეორბელიძე, რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი<br>ექიმი ია ჯალაღანია, სასწრაფო დახმარების პედიატრი<br>ექიმი ნინო ყურაშვილი, ბავშვთა ინფექციონისტი<br><br>კურსის ხელმძღვანელის ტრენერებთან შეთანხმებით, შესაძლებელია ტრენერების ჩანაცვლება. |
| **სწავლების ენა:** | ქართული |
| **სამიზნე ჯგუფი:** | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების: საბავშვო ბაღების, ბავშვთა სახლების და ა.შ. აღმზრდელები, ექთნები, სხვა პერსონალი, აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმების მაძიებლები;  ასევე სხვა დაინტერესებული პირნი; |
| **კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:** | ექთნის კვალიფიკაცია, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგის კვალიფიკაცია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმება. დასაქმების მაძიებლობის შემთხვევაში - სრული საშუალო განათლება |
| **კურსის მიზანი:** | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ბავშვისათვის პირველი (გადაუდებელი) დახმარების გაწევის ჩვენებების, წესებისა და მეთოდების შესწავლა. სათანადო ყურადღება დაეთმობა უნარშეზღუდულ პირთა პირველი დახმარების მეთოდების შესწავლას, როდესაც საჭიროა რიგი სპეციფიკური |

| | |
|---|---|
| | ფაქტორების გათვალისწინება, რაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. |
| **სწავლის შედეგები:** | მსმენელები შეისწავლიან ბავშვისათვის პირველი (გადაუდებელი) დახმარების გაწევის ჩვენებების იდენტიფიცირებას, დახმარების გაწევის წესებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებას. შემენილი ცოდნა დაეხმარება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალს სწრაფი და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, რათა დროულად და ეფექტურად ჩატარდეს საჭირო მანიპულაციები დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად ისე, რომ აცილებულ იქნას უცოდინრობით გამოწვეული დახმარების არასწორი მეთოდების გამოყენება, რადგან პირველი დახმარების არასწორად გაწევამ, შესაძლებელია, დაზარალებულს დამატებითი ზიანი მიაყენოს. უნარშეზღუდულ პირთა მიმართ გასაწევი  პირველი დახმარების მეთოდები და წესები, არსებული პათოლოგიის გათვალისწინებით, შესწავლილი იქნება კურსის განმავლობაში. |
| **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** | მინი ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, პირველი დახმარების ჩატარების სხვადასხვა მანიპულაციების შესწავლა და მაკეტზე განხორციელება, სხვადასხვა დაზიანების დროს დახმარების ალგორიტმის დასწავლა |
| **სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:** | მეცადინეობების დროის 80% დასწრება, მოდულის დასასრულს საკონტროლო კითხვარის მინ. 80% სწორი პასუხების გაცემა, პრაქტიკული მანიპულაციების ცოდნა |
| **კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:** | ბავშვის ანატომიის ვიზუალური მასალა,<br>მულაჟები,<br>პირველი დახმარების საშუალებები,<br>მოწყობილობები,<br>სამედიცინო ჩანთა |

## კურსის სტრუქტურა და შინაარსი

**I მოდული: ბავშვი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში**
**მოდულის მოცულობა - 6 სთ.**
**ტრენერი: პედიატრი - პროფ. რ. ქარსელაძე; ბავშვთა ნევროლოგი - დოქტ. ა. მინდაძე**

| # | თემა / სესია | საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის, | მეთოდები | სასწავლო მასალა* |
|---|---|---|---|---|
| | ცნობები სკოლამდელი ბავშვის ანატომია - ფიზიოლოგიიდან - ბავშვი არ არის იგივე, რაც პატარა ზომის ზრდასრული | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | ბავშვის განვითარების ყოველწლიური ფიზიოლოგიური მახასიათებლები | 2 სთ | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | ბავშვის განვითარების ყოველწლიური ნორმალური ფსიქო-ნევროლოგიური მახასიათებლები | 2 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | სკოლამდელ ასაკში უნარშეზღუდულობის უხშირესი მიზეზები, ბავშვის საჭიროებები | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |

**II მოდული: კრიზისის მართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში**

**მოდულის მოცულობა - 6 სთ.**
**ტრენერი: ჯანდაცვის ორგანიზაციის ექიმი ან პედიატრი - ი. ჯალაღანია;**
**პედიატრი - პროფ. ლ. ჟორჟოლიანი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება - უსაფრთხო გარემო (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმატივები) | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საკარანტინო ბოქსი, აფთიაქი, პირველი დახმარების კომპლექტი | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დაავადების პროდრომი, პირველი სიმპტომები, საყურადღებო მდგომარეობები | 2 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | რა დროს მივმართავთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | პირველი ღონისძიებები, თუ სასწრაფო სამედიცინო დახმარება მიუწვდომელია | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |

**I I I მოდული: ტრავმები, მოტეხილობები, სისხლდენები, დამწვრობა**
**მოდულის მოცულობა - 12 სთ.**

**ტრენერი: ბავშვთა ნევროლოგი - დოქტ. ა. მინდაძე; რეანიმატოლოგი და/ან გადაუდებელი დახმარების ექიმი - მ. გეორბელიძე, ი.ჯალაღანია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ქალა-ტვინის დახურული ტრავმა | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | უცხო სხეული სასუნთ გზებში | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | გულმკერდის და მუცლის მიდამოს დახურული დაზიანება, შინაგანი სისხლდენის ნიშნები | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | სახსრების დახურული ტრავმები, ამოვარდნა, სხვა დაზიანებები | 30 წთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | ძვლების ღია და დახურული მოტეხილობები, იმმობილიზაციის მეთოდები | 2 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | სისხლმდენი ჭრილობები, სისხლდენის შეჩერების მეთოდები | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გადახურება, სითბოს დაკვრა, დამწვრობა: მზით, თერმული, ქიმიური, ელექტროტრავმა, მოყინვა; | 1სთ.30წთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | საკონტროლო მეცადინეობა - შესწავლილი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება | 4 სთ. | ვარჯიში მულაჟების გამოყენებით, ქეისის მოდელირება | მულაჟები, სპეციალური და არასპეციალური სახვევი მასალები, არტაშნები, საკაცე და სხვ. |

**I V მოდული: ნევროლოგიური, ენდოკრინული დაავადებები, ეპიდემიოლოგიური საფრთხე**

**მოდულის მოცულობა - 6 სთ.**

**ტრენერი: ბავშვთა ნევროლოგი - დოქტ. ა. მინდაძე; პედიატრი - პროფ. რ. ქარსელაძე; ბავშვთა ინფექციონისტი - ნ. ყურაშვილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ეპილეპსია სკოლამდელ ბავშვებში, თანამშრომლობა მშობლებთან, დახმარება გულყრის დროს | 2 სთ. | საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | ენდოკრინული დაავადებები - შაქრიანი/უშაქრო დიაბეტი,სხვ. თანამშრომლობა მშობლებთან, კომის პრევენცია, დახმარება | 2 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | მაღალი სიცხე, გამონაყარი, სხვ. სიმპტომები, ეპიდემიოლოგიური საფრთხე, კარანტინის ღონისძიებები | 2 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |

**V მოდული: მოწამვლები, კვებითი ინტოქსიკაციები, ალერგიული მდგომარეობები, ანაფილაქსიური შოკი**
**მოდულის მოცულობა - 6 სთ.**

**ტრენერი: პედიატრი - პროფ. ლ.ჟორჟოლიანი, პროფ. რ. ქარსელაძე; რეანიმატოლოგი და/ან გადაუდებელი დახმარების ექიმი - მ. გეორბელიძე, ი.ჯალაღანია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მოწამვლა ბუნებრივი გაზით, ნახშირჟანგით | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | მოწამვლა საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებებით | 30 წთ. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მედიკამენტებით მოწამვლა | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | კვებითი ინტოქსიკაციები, სალმონელოზი, სოკო, ბოტულიზმი | 1 სთ. 30 წთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისი განხილვა, კითხვა პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | ალერგიული მდგომარეობები, ასტმა, ჭინჭრის ციება და სხვ. თანამშრომლობა მშობლებთან | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | ანაფილაქსიური შოკი | 1 სთ. | მინი-ლექცია, საუბარი, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | ვიზუალური მასალა, საპრეზენტაციო ტექნიკა |

**VI მოდული: 2-6 წლის ბავშვების პირველი დახმარება მასობრივი დაზიანების დროს**
**მოდულის მოცულობა - 6 სთ.**
**ტრენერი: რეანიმატოლოგი და/ან გადაუდებელი დახმარების ექიმი - მ. გეორბელიძე, ი.ჯალაღანია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ბავშვის გამოყვანა დაზიანების არედან - რისი გაკეთება არ შეიძლება - ტკივილის შოკის პრევენცია | 1სთ. | მინი-ლექცია, ქეისის განხილვა, განვლილი მასალის გახსენება | საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | დაზიანებულთა ინსპექცია, დაზიანების ხარისხების დადგენა, სიცოცხლის და სიკვდილის ნიშნები | 1 სთ. 30 წთ. | მინი-ლექცია, ქეისის განხილვა, განვლილი მასალის გახსენება | საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | რეანიმაციის მეთოდები - ხელოვნური სუნთქვა, გულის მასაჟი | 30 წთ. | პრაქტიკული მეცადინეობა | მულიაჟი |
| | სკოლამდელ ბავშვებში ხელოვნური სუნთქვის, გულის მასაჟის ჩატარების თავისებურებები | 2 სთ. | პრაქტიკული მეცადინეობა, როლური თამაში | მულიაჟი საპრეზენტაციო ტექნიკა |
| | სკოლამდელ უნარშეზღუდულ ბავშვებში ხელოვნური სუნთქვის, გულის მასაჟის ჩატარების თავისებურებები | 1 სთ. | პრაქტიკული მეცადინეობა, როლური თამაში | მულიაჟი საპრეზენტაციო ტექნიკა |

**გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:**


1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღში "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის №01-172/ო ბრძანებით.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 308/ნ 2001 წლის 16 აგვისტო ქ.თბილისი სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ
3. საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები დაწყებით განათლებასა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით. © გაეროს ბავშვთა ფონდი 2014.
4. „Caring for Our Children:National Health and Safety Performance Standards; Guidelines for Early Care and Education Programs", Third Edition. Copyright © 2011 by American Academy of Pediatrics American Public Health Association National Resource Center for Health and Safety in Child Care and Early Education.
5. „Caring for Our Children:National Health and Safety Performance Standards; Guidelines for Early Care and Education Programs", Fourth Edition, A Joint Collaborative Project of American Academy of Pediatrics 345 Park Boulevard Itasca, IL 60143 American Public Health Association 800 I Street NW Washington, DC 20001-3710 National Resource Center for Health and Safety in Child . and Early Education University of Colorado, College of Nursing 13120 19th Avenue Aurora, CO 80045 Support for this project was provided by the Maternal and Child Health Bureau, Health Resources and Services Administration, U.S. Department of Health and Human Services (Cooperative Agreement #U44MC30806).
6. Emergency Preparedness Planning Guide for Child Care Centers & Child Care Homes, 2016, Illinois Emergency Medical Services for Children under the direction of the Illinois Pediatric Preparedness Work Group
7. EMERGENCY GUIDELINES FOR EARLY CHILDHOOD PROGRAMS; Guidelines for helping an ill or injured child when a health consultant is not available. Missouri Department of Health and Senior Services, 2007.
8. ErsteHilfe in Kindertageseinrichtungen. HerausgeberBundesverband der Unfallkassen, Fockensteinstraße 1, 81539 München www.unfallkassen.de © 2007 AlleRechtevorbehalten Printed in Germany.
9. ErsteHilfe in Kindertageseinrichtungen.Unfallkasse Sachsen AbteilungPrävention. 2004.
10. How to do Child CPR - First Aid Training video- St John Ambulance.
11. How to do CPR on a Child (Ages 1 to 12 Years) First Aid Training video.
12. Руководство по неотложным состояниям у детей Второе издание В. В. Курек А. Е. Кулагин, Москва Медицинская литература 2012.

**ერთ-ერთი სესიის სასწავლო მასალის სრული კომპლექტი.**

**II მოდული: კრიზისის მართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში**

**სესია/თემა :** რა დროს მივმართავთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას

ტრენერი: პედიატრი
მოცულობა: 1 სთ.

თემის განხილვის პროცესში მსმენელებს საშუალება აქვთ მოითხოვონ განმარტება, დასვან კითხვა, გამოთქვან მოსაზრება.

| | თემები | გამოყენებული მეთოდები | დრო |
|---|---|---|---|
| 1 | აღსაზრდელის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის საფრთის კრიზისული ვითარების წარმოქმნის შესაძლებლობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში | მინი-ლექცია, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | 5 წთ. |
| 2 | აღსაზრდელის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის საფრთხის ნიშნების აღმოჩენა | მინი-ლექცია, ქეისის განხილვა, ვიდეო მასალის დემონსტრირება | 5 წთ. |
| 3 | კრიზისული - გადაუდებელი დახმარების საჭიროების სიმპტომების იდენტიფიცირება, შეფასება | მინი-ლექცია, ქეისის განხილვა, კითხვა-პასუხი | 20 წთ. |
| 4 | გადაუდებელი რეაგირების კონკრეტული სიმპტომები - ჩამონათვალი, რეაგირების ალგორიტმი | მინი-ლექცია, ხელზე დასარიგებელი მასალის განხილვა | 20 წთ. |
| 5 | სესიის შეჯამება | მსმენელთა მოკლე გამოკითხვა | 10 წთ. |

<u>თემასთან დაკავშირებული ხელზე დასარიგებელი მასალა</u>

**კრიზისის მართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში**

**სასწრაფო დახმარებას მივმართავთ, თუ:**

- ბავშვმა დაკარგა ცნობიერება (უგონოდაა), ძნელად შედის კონტაქტში ან არაადექვატურია.
- ბავშვი არ სუნთქავს, ეჭვია უცხო სხეულზე სასუნთ გზებში.
- ბავშვს უჭირს სუნთქვა, აქვს ქოშინი ან ხიხინი.
- ბავშვს არა აქვს პულსი.

- ბავშვს აქვს სისხლდენა (ცხვირიდან, ყურიდან, სისხლიანი ხველება ან პირღებინება, სისხლი შარდში, სისხლიანი განავალი, სისხლმდენი ჭრილობა).
- ბავშვს (ან რამდენიმეს) მწვავედ განუვითარდა ღებინება, ტკივილი მუცლის მიდამოში, სუსტი პულსი, ტემპერატურის აწევა ან დაწევა, ეჭვი მოწამვლაზე.
- ბავშვს აქვს მაღალი სიცხე 38 $^{0}$C ან მეტი.
- ბავშვს აქვს კრუნჩხვა ან გულყრა.
- ბავშვს აქვს დაზიანება სახის, თავის, კისრის, ხერხემლის, გულმკერდის, მუცლის არეში.
- ბავშვს აქვს უეცარი, ძლიერი ტკივილი სხეულის ნებისმიერ წერტილში - ეჭვი კიდურების მოტეხილობაზე, ორგანულ დაზიანებაზე, შინაგან სისხლდენაზე.
- ბავშვის დახმარების დაგვიანებამ შეიძლება გამოიწვიოს მდგომარეობის გაუარესება, საფრთხის შემცველია მომავალი ინვალიდობის ან სიცოცხლის მოსპობის თვალსაზრისით, აგრეთვე საფრთხეს უქმნის სხვა ბავშვებს.

თუ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი პირობა არსებობს, ან თუ გაჩნდა დასაბუთებული ეჭვი, საჭიროა:

- დაუყოვნებლივ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.
- მშობლის ან მეურვის ინფორმირება.
- თუ სამკურნალო დაწესებულება ახლოსაა, სასწრაფო დახმარება კი იგვიანებს, შესაძლებელია ექიმის გამოძახება და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ბავშვის სხვა სატრანსპორტო საშუალებით სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა.